№ 40

5 ოქტომბერი

# ივერია

ფასი ერთი შაური

1909 წ.

სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი გამოდის ორშაბათობით

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Гановская ул. д. № 6. К. П. Туманову.

გაზეთი „ივერია“ გამოდის ორშაბათობით, ცალკე № ღირს ყველგან ერთი შაური. ნომერში მოთავსებული იქნება კვირა დღის ამბები და დეპეშები, რომელიც სხვა გაზეთებში სამშაბათობით გამოდის.

**წლის ფასი 3 მან. წლის დალევამდი 2 მან.**

სარედაქციო ნაწილის გამგე **კ. პ. თუმანიშვილი.**

კახეთიმევენახეთა ამხანაგობა

## ს ა ე რ ო

ამხანაგობის წევრთა ვენახების ღვინო ბოთლი 25 კაპ. და მეტიც.

მუდმივ მუშტრებს ღვინო დაკლებულ ფასებში ეძლევათ

**მაღაზია იმყოფება ერევნის მოედანზე, თამამშევის ქარვასლაში**

ტფილისის საიმპერატორო სამუსიკო სასწავლებლის

ფორტოპიანოს მწყობი

## გ. ლ. ხარიშაროვი

ვორონცოვის ძეგლთან, რაზიეზჟაია ქუჩა № 11.

**მიიღება შესაკეთებლად** ყოველგვარი როიალ და პიანინო პასუხისგებლობით **იყიდება** როიალიდან და პიანინოდან მტვერის **ამოსაზერავი**. ფასი 3 მანეთი.

## კაფე პარიზი

ტფ. თავად-აზნაურობის თეატრის ეზოში (Дворцовая ул,)

ჩაი, რძე, ყავა, შოკოლადი, კაკაო პირაჟოკები, ბუტერბორტები (15 კაპ. და მეტიც)

## ხაჭაპური

**ცივი დახელი კერძები 25 კ. და მეტი**

სასმელი წყლები

**უდი, სადილი**

**ფასი ხელმისაწდომია**

სისუფთავე და კარგი სამსახური

დაბა **ლანჩხუთში**

გაიხსნა

## ფოტოგრაფია

„გურია“

**ა. მიქელაშვილი.**

**კბილის ექიმი**

## ს. ა. ცეიტლინი

კბილის სნეულებანი. **ხელოვნური კბილები.** ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათ. მიხეილის პროსპექტი ს. № 22 (სემიონოვის ქ. კუთხეზე № 3). შესავალი სემიონოვის ქუჩიდან. 0—1

ვკისრულობ სოფლის და ქალაქის მამულების

## დაგირავებას და გადაგირავებას

ადრესი: г. Тифлисъ ул. Бѣлинскаго, бывш. Кирпичная д. № 19. кв. кн. Херхеулидзе.

ნახვა შეიძლება ყოველ დღე, დილის 8½—10 საათამდის—საღამოობით 5—7 საათამდის. შეიძლება წერილობითაც.

## ახალი ამბები და დეპეშები

ნამესტნიკი ტფილისში ჩამოვა 8 ოქტომბერს დილის 10 საათზე.

**სათარ-ხანი.** ხმა გავრცელდა, რომ რეაქციონერებმა აიღეს ციხე არდაბილი, რომელშიაც გამაგრებული იყო სათარ-ხანი თავის რაზმით. მრავალია მოკლული და დაჭრილი. სათარ-ხანი ცოცხალია თუ მკვდარია, ჯერ არ იციან.

**თავრიზი.** დღეს პოლკოვნიკ მაჩაცაშვილის უფროსობით თავრიზიდან გავიდა რუსის ჯარი, რომელიც კავკასიაში უნდა დაბრუნდეს. ხვალ მოდის გრენადერების ბატარეია და ორი როტა, კავკასიის სტრელკოვი ბატალიონისა.

**თეჰერანი.** რამაზანის გათავების შემდეგ დიდი სელიამი გაიმართა.

**პეტერბურგი.** ხოლერით ავათ გახდა 25, მოკვდა 15, ავად არის 334.

**ბერლინი.** ისპანიის საელჩოს წინ დემონსტრაცია მოხდა.

გამოვა ალმანახი **„ჩვენი ერი“** მეორე ნომერი.

ამას წინ ჩვენ დაბეჭდილი გვქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ ვერის სახალხო თეატრში წარმოდგენის მაგიერ სილამაზის კონკურსი იყო მოწყობილი. როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ამ კონკურსის მოწყობაში სახალხო წარმოდგენათა გამგე ზოგადოება არაფერ შუაში ყოფილა, რამე ბ. ბ—ეს ნებართვა უთხოვია საზოგადოებისათვის, თხოვნაში უწერია წარმოდგენის გარდა არაფერი არ იქნება, არც ცეკვა. არც სხვა რამე. განცხადებაში რუსულ ტექსტში არ აღუნიშნავს კონკურსი, ქართულში კი დაუწერია, ასირად საჩქაროდ მოუწყვია ეს საქმე და ბრალი მხოლოდ მას ედება.

**სოფ. ნაზარლოში** ვიღაც უცნობებმა ტყეში გაიტყუეს სტრაჟნიკი მეხრალი ალაპიროვი, და დაარჩვეს იგი, შემდეგ თოფი ესროლესდა იქვე დააგდეს. ცხენი მკლელობისადგილას დაბმული იყო.

**სიღნაღიდან** იწერებიან, ნაშრობიან ნახეს ბაბუკო დარჩიშვილის და გიო მირიანაშვილის გვამები. ესენი რამდენიმე დღის წინეთ წასულან შეშის მოსატანად ს. ანაგიდან და შინ აღარ დაბრუნებულან. რივეს ყური ჰქონია გამოჭრილი, ვინ მოკლა, არაფერი იციან.

**ეგზარხოსის აკვლის ხმე.** როგორც მკითხველებმა იციან, სინოდის განკარგულებით მოეს, ამბობენ ვოსტორგოვის თხოვნით არის მისპობილი ეს საქმეო, რადგანაც ამოძიებს ისეთი რამეები აღმოაჩინა, რაც მეძრჯვენე ელემენტებისათვის მეტად საშიში არის. ამბობენ თვით მამა ვოსტორგოვიც უნდა გაბმულიყო საქმეში, რადგანაც კვლელობას კავშირი უნდა ჰქონდა იმ ფულის გაფლანგვასთან, რომელ ვოსტორგოვის დროს მოხდა.

**ბლაგოვეშჩენსკში** სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასაჯა გადაუწყვიტა ჩიქოვანს, ქვლივიძეს, გულარიას, სასანიას, მამულაიშვილს და ბუნიას. ამ პირთ კარეიკლებში ექსპროპრიაციების მოხდენა ბრალდებათ.

სახელმწიფო სათათბიროს წევრი თავ. შერვაშიძე წუხელის გაემგზავრა პეტერბურღისკენ.

ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იყო „მედეა“, ქ-ნ ა. ჩირგაძის მონაწილეობით. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, ხალხი საკმაოდ დაესწრო, თვით ქ. ა. ჩირგაძემ ისევ დიდი აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში, მისმა ბუნებრივმა ნიჭმა სძლია როლის სიძნელეს, საუბედუროდ ხელს არ უწყობდა მას მეორე მოთამაშე ბ. შარაშიძე, რომელიც ისე სუსტად თამაშობდა, რომ საცოდავი სანახავი იყო. პარტერის საზოგადოება თავჩაღუნული იყო მისი თამაშის გამო.

**ავლაბრის თეატრი.** შაბათს, 3 ოქტომბერს ვ. ურუშაძას რეჟისორობით წარმოდგენილი იყო „ქრისტინე“, სუსტი იყო ქრისტინეს როლში საყვარელიძე დაკვირვებულის თამაშით განირჩეოდენ, სალაყაია, გელიკურაშვილი, რჩეულოვი, მირველოვი კვთელი და მჭედლიშვილი. სუსტი იყო უკანასკნელი მოქმედება. მესამე მოქმედება სულ გადაასხვაფერეს გერმანე კინტოდ გამოიყვანეს და როალის მაგიერ არღანს უკრავდენ, ერთის სიტყვით ისე აურიეს, რომ ვერც ნინოშვილის ქრისტინე ვნახეთ და ვერც წერეთელისა. ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო.

## რად შეგიყვარე!

(ვუძღვნი, კიდევ მარ. კან—ს)

ვერ შეითვისე, ჩემო მტანჯველო,
უბიწო, ტრფობა, ჩემი შენდამი;
ვერ მიცან კარგად, ასპიტო გველო,
ვერ იცან ჩემი წრფელი სალამი!

*
* *

და გაჰყე მარდად ვნებისა ნიავს,!
დასტოვე მდელო, ირჩიე მთები,—
მომწყდი. იცოდე აღარ მიზიდავს
ეგ შხამ-ნასხური ხუჭუჭი თმები!..

*
* *

ჩემ გულს მოუძღვენ მკვეთრი მახვილი,
მომიკალ რწმენა, დამიხშე მთვარე,
გამიხმე გულის ნორჩი ყვავილი,
ჭაბუკს მაღირსე შავი სამარე!..

*
* *

ზეცისა რისხვა თავზე დამატყდა...
გიცან, ცბიერო, მაგრამ... კი გვიან,—
აღარ მიყვარხარ. მორჩა... გადაწყდა...
ამაოდ ჰგოდებ... თვალნი ცრემლს ღვრიან,

*
* *

შენ ვერ გაიგე, ჰანგი ციური,
ჩემს აზრთა—კიდეს ვერ დაემყარე.—
ახ, რად გემსხვერპლე მე უბედური,
რად შეგიყვარე, რად შეგიყვარე?!.

3 ოქტომბერი **ი. გრიშაშვილი.**

## თბილისი, 5 ოქტომბერი.

ვის არ ახსოვს „ერთობის“ დრო საქართველოში? ხალხი აღფრთოვანებული იყო, რაღაც ცვლილებას ელოდა, დარწმუნებული იყო, რომ ეს ცვლილება მას სრულ ბედნიერებას მიანიჭებდა.

იმ დროს ხალხს ს.-დემოკრატები მეთაურობდენ. ეს მეთაურობა მათ მონოპოლიად გამხდარი ჰქონდათ, არა სოც.-დემოკრატს არ აკარებდენ ხალხს, სოფლად შესვლას უკრძალავდენ, არა სოც.-დემოკრატიულ აზრების გავრცელებას უკრძალავდენ.

ყველა, ვინც იმ დროს ეჭვის თვალით უყურებდა ს.-დემოკრატების ამ ბატონობას, სოც.-დემოკრატებმა ხულიგანების სახელით მონათლეს. ყველა, ვინც ხალხისათვის მავნებლად სთვლიდა სოციალ-დემოკრატიულ ტაქტიკას, ს.-დემოკრატებმა ხალხის მტრებად გამოაცხადეს. და ხალხსაც სჯეროდა ს.-დემოკრატების, ხალხსაც ეს „მოკრიტიკენი“ მართლაც მავნებელი მტრები ეგონა.

ცხოვრების სინამდვილემ დაგვანახა, რომ ს.-დემოკრატები მწარედ სცდებოდენ და უსირცხვილოდ სტყუოდენ და რომ ეს „მავნებელი მტრები“ მართალს ეუბნებოდენ ხალხს.

ს.-დემოკრატებმა ნამდვილ აზეფ-პროვაკატორების როლი იკისრეს ჩვენში, ხალხი საბრძოლველად გამოიყვანეს მაშინ, როდესაც ხალხს ბრძოლისათვის საკმარისი მომზადება არა ჰქონდა და ამნაირად ხალხის საშინელი დამარცხება გამოიწვიეს.

რითი აიხსნება ჩვენებურ ს.-დემოკრატების ასეთი პროვაკატორობა? მართლა აზეფსავით შემოჩენილი იყვენ ისინი და შეგნებულად აგდებდენ ხრამში მათზე დანდობილ ხალხს? ფული მიიღეს იმისთვის, რომ აემხედრებინათ ხალხი და რეაქციის გაბატონება გამოეწვიათ? იუდასავით ორიოდე გროშში გაყიდეს ხალხი და ხალხის ინტერესები და, უსაქმოდ მყოფნი, ამ ორიოდე გროშით იკვებავდენ თავს?

ჩვენ გვგონია, რომ მათი მოქმედების ნამდვილი მიზეზი სხვა არის—უვიცობა, შეუგნებლობა. მეთაურები, ს.-დემოკრატიის მეთაურები პოლიტიკურად უვიცნი იყვენ, მათ შეგნებული არ ჰქონდათ მომენტის სიდიადე, მათ არ სცოდნიათ ხალხის ძალა, არ სცოდნიათ რუსეთის მდგომარეობა, მათ არ იცოდენ ის გზა, რომელზედაც უნდა გაევლო მათისავე რჩევით ხალხს, მათ დანახული არ ჰქონდათ ის ხრამი, რომლისაკენაც მიდიოდა ეს გზა!..

ხალხის მაშინდელი მეთაურები—ს.-დემოკრატები უვიცები გამოდგენ. უვიცები გამოდგენ, თუმცა მათში განათლებულები ერიენ, უვიცი იყო თვით ნ. ჟ., იგი სხვებზე მეტადაც. მათი უვიცობა ბოროტ-მოქმედებად ჩამოეთვლებათ, რადგანაც ხალხს რომ ამხედრებდენ და სხვებს აშორებდენ ხალხს, ზნეობრივად ვალდებულნი იყვენ გაცნობილიყვენ ხალხის ნამდვილ მდგომარეობას, გაცნობილიყვენ რუსეთის სულის კვეთებას და მხოლოდ ამის შემდეგ ერჩიათ ხალხისთვის ან ბრძოლა ან გაჩერება...

წარმოიდგინეთ ომიანობის დროს მთავარსარდლათ რომ დადგეს ვინმე უვიცი, რომელმაც არც თავისი ჯარის შეიარაღება იცოდეს, არც ბრძოლის მიდამო ჰქონდეს შესწავლილი, არც მტრის ძალები გათვალისწინებული. ამ მთავარსარდლის ხელში ჯარი სასტიკად რომ დამარცხდება, ეს ხომ ცხადია. ასევე ცხადია, რომ ჩვენებურ უვიც ს.-დემოკრატების ხელში ხალხი ყოველთვის დამარცხებული დარჩება.

უვიცს უვიცი უყვარს. ამიტომ ყოველი უვიცი ქართველი ეტანება სოც.-დემოკრატიას, აქ იგი თავის თავს კარგად გრძნობს, რადგანაც მთავარ-სარდალიც და აფიცრებიც მასავით უვიცნი არიან, ამიტომ ჩვენებური ს.-დემოკრატია უმეტეს ნაწილად უვიცთა ბრბო არის, ამიტომაც მან წარსულ წლებში ზოგიერთი ისეთი რამ უარჰყო, რისი უარყოფა მხოლოდ უვიცს და განუვითარებელ ადამიანს თუ შეუძლია. მან უარჰყო, მაგ., ეროვნული იდეალები და ამ იდეალების განსახორციელებლად მოქმედებას თავად-აზნაურული ოინები დაარქვა.

ამ უვიცმა, განუვითარებელმა ბრბომ დაიჯერა ყველაფერი, რასაც მას უვიცი მეთაურები ეუბნებოდენ. ეს უვიცი, განუვითარებელი ბრბო დღესაც იჯერებს ხშირად იმას, რასაც ეს უვიცი მეთაურები ეუბნებიან. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ უკანასკნელ წლების მწარე გამოცდილებამ ზოგიერთს თვალები აუხილა და დაანახა, რომ მეთაურები მეთაურებათ არ ვარგანან და მოწინააღმდეგეს სიტყვას ახლა წინანდელ ს.-დემოკრატებში მეტი გასავალი აქვს: ნიშანი იმისი, რომ უვიცობა ისპობა და თანდათან მეტი განათლება და განვითარება შედის ხალხში.

დრო გავა, და ეს განვითარება და შეგნება იმატებს. მაშინ ხალხის უმეტესობა აშკარად დაინახავს თავის წინანდელს შეცდომებს და ღირსეულ პასუხსაც გასცემს იმათ, ვისაც ამ შეცდომებში ბრალი ედებათ.

ეს დრო არც ისე შორს არის, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ძნელი იყო პირველი ეჭვი ს.-დემოკრატიის ნამოქმედარის შეუცდომლობაში, რაკი ეს ეჭვი დაიბადა, ახლა მას ვერ აღმოფხვრის მოწინააღმდეგესი გინება, „ძმა-ბიჭური“ ოინები და ავლაბრული მასხარაობა. ვერ აღმოფხვრის და ვერ მოსპობს მას ვერავითარი ძალა, ეს ეჭვი თვალს აუხელს ხალხს და ავისა და კარგის გარჩევას შეაძლებინებს.

**კ. თუმანიშვილი**

## ჩემი დღიური

კადეტებმა სათათბიროს წევრთა უკანასკნელ არჩევანში გაიმარჯვეს,—პეტერბურგსა, მოსკოვსა და ოდესაში ხალხმა მათი კანდიდატები აირჩია,—სხვა პარტიების კანდიდატებმა სულ მცირედი რიცხვი ხმებისა მიიღეს.

ამ გამარჯვების ნამდვილი მიზეზიც გამოირკვა,—ყველგან თურმე არა რუსი ამომრჩევლები მხარს უჭერდენ კადეტების პარტიას,—და ეს გამარჯვება ამნაირად არა რუს ეროვნებათა გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს,—თვით რუსეთის შუაგულ ქალაქში მოსკოვში არა რუს ერებს ასეთი ძალა ჰქონიათ, რომ თვით რუსეთის ახლანდელ დედა ქალაქში მათ შესძლებიათ თავიანთ ხმებით ამა თუ იმ პარტიისათვის გამარჯვების მიცემა. მით უფრო გავლენიანი და ძლიერი უნდა იყვენ ისინი განაპირა ადგილებში, იქ, სადაც არა რუსთა რიცხვი რუსებზე მეტია და სადაც ადგილობრივ ხალხს გარკვეული ეროვნული იდეალები აქვს წამოყენებული.

რუსეთი სხვა-და-სხვა ერისაგან შესდგება, ეს სხვა-და-სხვა ერი დღეს კიდევ გაჩუმებულია და გულგრილად უყურებს იმას, რომ ხშირად მის დაუკითხავად, მის სურვილების წინააღმდეგ წყდება ესა თუ ის საქმე სახელმწიფოში, მაგრამ მისი სიჩუმე და გაჩერება სამუდამო არ არის რაც მეტი შეგნება შევა ხალხში, მით ნათლად გაიგებს იგი საქმეში აქტიურად ჩარევის საჭიროებას და მით უფრო ძნელი გახდება სახელმწიფოში გაბატონებულ ერისთვის ამ ბატონობის შერჩენა.

შეიძლება ორ სხვა-და-სხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო გზას დაადგეს სახელმწიფო, მრავალ მოწინააღმდეგე ერისაგან შემდგარი, და აგრეთვე პოლიტიკურ პარტიასაც შეუძლია სხვა-და-სხვა ტაქტიკის არჩევა იმ საკითხში, თუ რა მნიშვნელობა და მონაწილეობა უნდა მიეცეს ყველა არა რუს ეროვნებას რუსეთში.

ძველი წყობილების წარმომადგენელნი აცხადებენ,—რუსეთი რუსებს ეკუთვნის და სახელმწიფოს ყოველი საქმე მხოლოდ რუს ეროვნების წარმომადგენლებს უნდა ეკითხებოდეს. ამავე გზას ადგანან დღეს უკიდურესი მემარჯვენენი სათათბიროში და სათათბიროს გარეთაც.

ევროპის გამოცდილება გვეუბნება, რომ ამნაირი ერთ ეროვნების გაბატონება შინაურ განხეთქილებას იწვევს და ამიტომ სახელმწიფოსთვის მავნებელია. ეს გამოცდილება სახელმწიფო მართვა-გამგეობის სხვა წესს გვასწავლის, ეროვნულ თანასწორობის პრინციპზე დამყარებულს, სახელმწიფოში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა ინტერესების დამცველს.

კადეტებმა ეს გზა აირჩიეს და საარჩევნო ლოზუნგათ სხვათა შორის ეროვნული პრინციპის განხორციელება არჩიეს. საამისოდ მათ გამოაცხადეს, რომ ებრაელთა უფლებებს დაიცავენ, რომ პოლონელებს ეროვნულ იდეალების განხორციელებაში ხელს შეუწყობენ, რომ გერმანელებს არ შეავიწროვებენ, რომ უკრაინელების ეროვნულ აღორძინებას გააადვილებენ.

ამიტომ ებრაელები, პოლონელები, გერმანელები, უკრაინელები და ყველა სხვა არა რუსი ერები მიემხრნ კადეტებს და ბრწყინვალე გამარჯვება შეაძლებინეს.

ამ მხრივ კადეტების გამარჯვება ჩვენ მეტად საგულისხმო გვგონია. იგი მაჩვენებელია რუსეთში მცხოვრებ ერთა ეროვ-

ნულ გამოფხიზლებისა, იგი პირველი ნაბიჯია იმ გზაზე, რომელმაც რუსეთში არა რუს ეროვნებათა შეთანხმებული მოქმედებისკენ უნდა მიგვიყვანოს.

ამ შეთანხმებულ მოქმედებაში წილი უნდა გვქონდეს ჩვენც, ქართველებსაც. ეს შეთანხმებული მოქმედება ეროვნულ თანასწორობას უფრო ადვილად დაამყარებს, ვიდრე უკიდურეს პარტიათა პროგრამები და ლოზუნგები.

ეს უნდა ახსოვდეს ჩვენებურ სოც.-დემოკრატებს და ყველას, ვისაც ქართველების კეთილდღეობა სწყურია.

**მეთვალყურე**

## შემთხვევითი წერილები*)

### III

ლომი, ვეფხვი, დათვი განშორდენ მყუდრო ცხოვრებას ადამიანისას, რადგან მათთან ბრძოლა ადამიანს არ ეთაკილებოდა: ბრძოლაში შეიძლებოდა ან დაგლეჯილ-დაფლეთილს დაგელია სული, ან გამარჯვებით სახელი მოგეხვეჭა.

კედლის ტილი, კოღო, რწყილი ჯერ კიდევ კარგათ გრძნობენ თავს, რადგან მათი მავნებლობა ყველას არ აქვს შეგნებული და მათთან ბრძოლაც კი სამარცხვინოთ არის მიჩნეული. კერძო პირმა, რაც უნდა ბევრი იფერთხოს და იწმინდოს, კოღოს ბზუილი ერთხელ მაინც გაუმწარებს დღეს, კედლის ტილი ან აქ ან იქ გამოწუწნის სისხლს.

ასეა მწერლობაშიაც!

უყურებ რომ მიღოღავს ლიტერატურული ტილი, გინდა თავიდან მოიშორო და სხვებიც გადაარჩინო ამ სიმყრალისგან; წასწევ ხელს და... გეზიზღება; მოგაგონდება, რომ შეიძლება რისიმე ხელზე დახვევა...; და სანამ თქვენ იფიქრებდეთ, კედელში მიიმალება მყრალი სულდგმული, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამოვიდეს ისევ და ისევ ზიზღის გამოსაწვევათ. ვინც მწერლობის გამათახსირებლათ კრიჭაში ჩაუდგება, ვინც მათგან მწერლობის განთავისუფლებისთვის დროსა და მოცლილობას არ დაზოგავს, დიდს სარგებლობ.ს მოუტანს საზოგადოებას; შესახედავათ მცირეს, უჩინარს, ნამდვილად კი დიდს სარგებლობას. ჩემს ცოდვას კი ვინანიებ გულ-ახდილად: უმწვერვალესს სურვილს შეძლებისადაგვარათ მწერლობის გაფაქიზებაში წვლილი შევუტანო კიდევ არ ეხერხება ზიზღი დათრგუნოს ბინძურ ცხოველთადმი.

**ნ. ლორთქიფანიძე.**

## მგზავრის შეხიშვნები

ბათუმიდან ოსმალეთის საზღვარზე გადასვლა ადგილობრივ მცხოვრებ მუსულმანებისთვისაც ისე ძნელი კი არ ყოფილა, როგორც ქრისტიანებისა, და საზოგადოდ არა ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის. ადგილობრივ მუსულმან შეუძლია არზა მისცეს პოლიცმეისტერს, მიიღოს მოწმობა და შემდეგ გუბერნიის სამმართველოდან მიიღებს გადასვლელ მოწმობას (პროხოდნოი სვიდეტელსტვო), რომელიც ღირს მხოლოდ 50 კაპ. და წვრილმანი ხარჯი არზისა და სხვა 1 მ. 50 კაპ. ისე კი, უბრალო სიკვდილის შვილს, პასპორტი დაუჯდება არა ნაკლებ 18 მანეთისა. ისიც დიდის წვალების შემდეგ და ორი-სამი დღის სირბილისა. და ეს პასპორტი თქვენ გარგიათ ხოლმე მხოლოდ ერთხელ. დაბრუნდებით თუ არა საზღვარ-გარეთიდან, გინდ მხოლოდ ერთი კვირე დარჩეთ, გათავდა, მეორე კვირეში რომ წასვლა დაგჭირდეთ, თქვენ ისევ იმ წამებას გამოივლით და იმ ხარჯებს, გასწევთ როგორიც ერთის კვირის ან თვის წინეთ გასწიეთ.

ახლა? ეგებ თქვენა გგონიათ ეგ თქვენი „ნაკტავი" პასპორტი დაგჭირდება სადმე გარდა რუსეთის საზღვრიდან გასვლისას, არსად, არავინ არ გკითხავს და არც არავის სჭირია და არ თქვენ.

ჩვენ ვიყავით ოთხი კაცი, მივდიოდით ბათუმიდან გემით სულ სამი საათის გზაზედ და რუსეთ-ოსმალეთის საზღვრიდან სულ ერთის საათის მანძილზე.

ჩვენი პატარა ოსმალეთის ბაირაღით შემკული გემი ადგა ბათუმიდან ნაშუადღევს ოთხი საათის ნახევარზე და ბათუმიდან ორხავემდის გამოგვართვა მეორე კლასის ბილეთში კაცის თავზე 3 მანეთი. ჩვენი გემი მიდიოდა საათში 7—8 მილს. დარი მშვენიერი იყო. ზღვა წყნარი და გრილი ამინდი. შავი ზღვა, მხოლოდ ამ ერთ გზობისად შემხვდა ჩემს მრავალ გზის მოგზაურობაში ასე წყნარი და სასიამოვნო.

ჩვენ მივდიოდით ორხავის ცნობილ „კუტუნიტ-პერონიტი"-ს სპილენძის მადნების დასათვალიერებლად. ჩვენი გემი პირველად ექვსი საათის ნახევარზე მიადგა ხოფის ნავთ-სადგურს, თუმცა ნავთ-სადგური შავ ზღვაზე სინოპს გარდა თითქმის არც ერთ ქალაქს არა აქვს, მხოლოდ კარგ დარში შეუძლია ახლოს მიადგეს გემი და ისიც სრულიად პატარა ზომისა შავი ზღვის ოსმალეთის ქალაქებს. ხოფაში ჩვენ გავჩერდით ერთი საათი. ხოფიდან შემოსულმა ერთმა ბეგმა გვითხრა, იქ მისულა ორხავე-ათინიდან პროფესორი მარი. საკვირველიაო, დასძინა ბეგმა, კაცმა ჩვენი ლაზური ენა სულ 15 დღეში თავისუფლად შეისწავლა ისე რომ გაუჭირვებლად ლაპარაკობსო, ძლიერ სიმპატიური და სულ უბრალოდ მოსაუბრე კაცი ყოფილა, ყველას თავი შეაყვარაო.

ხოფიდან ჩვენ, ერთი საათის შემდეგ გავედით ორხავეში, საცა დაგვხვდა ჩვენი „კონახის" მასპინძლის ნავი, ჩაგვაჯდინეს შიგ და გაგვიყვანეს სოფელ ორხავეში. ჩვენი კონახის სახლი სდგას ზღვის პირას მაღალ კორდზე, საცა მხოლოდ საცალფეხო ქვის კიბე ადის ზღვის პირიდან. ჩვენ მივედით ჩვენი მასპინძლისას ასე ექვსი საათი იქნებოდა და მაშინვე შეუდექით სჯა-ბაას, მადნის ნახვის და იქ წასვლის შესახებ და ისეთი რამეები გამოირკვა, რომელსაც ვერც კი წარმოიდგენს კაცი ჩვენს საუკუნეში. აღმოჩნდა, რომ არსად ოსმალეთის ლაზისტანში, საურმე გზა, არც ურემი და ხარები არ ყოფილა, არის აქა-იქ ცხენის გზა და ისიც ისე გლახა, რომ მხოლოდ გაბედულს, ან ფატალისტს თუ შეუძლია იქ ცხენით სიარული.

— რუსის საზღვრამდის თუ არის,—ვიკითხე მე,—გზები ურმის, ან ურემ-ხარები თუ იპოვნება-თქო.

— ჩვენს საზღვრამდის მშვენიერი შარა მოდის, ურემიც მუშაობს და ხარებკამეჩიც არის, რამდენიც გინდათო, ეს არის, ე. ი. გზები, რომ რუსი ყოველგან მაგრად დგას და იპყრობს ქვეყნებსო.

როგორც იქნა ვიშოვნეთ ოთხი ცხენი და გავსწიეთ მადნის მაღაროებისკენ.

ჩვენი გზა მიდიოდა ორხავის კარგა მოზდილს „ორხავის დიელის" პირზე. ამ დიელის ორი კედრით შესანიშნავად მჭიდროთ არიან დასახლებულნი სოფლის ხალხნი, რომლებიც ცხოვრობენ მეურნეობით, სულ ერთიანად ამ მიდამოში ცხოვრობენ ლაზები ანუ ჭანები.

ჩვენი ყურადღება ორხავიდან ჩვენს მადენებამდის მისვლამდის მიიპყრო ქალების მდგომარეობამ. გზაში რამოდენი ქალი და კაცი შეგვხვდა. კაცს დაუკავებია ხელში თოფი, შეიარაღებულიყო თავიდან ფეხებამდის, თოფით, ლივერვერით, ხანჯლით, დანით და კოხტა მოკლე ჩაქურა ტანისამოსში მიუძღვის პირუტყვით დიდი ტომრით დატვირთულს თავის „ძვირფასს ნახევარს" და მედიდურად მიდის წინ, უკან საბრალო ქალი მისდევს ნახევრად წელში მოღუნული და მიყვება ქმარს სახლისკენ. ან კიდევ ყაძახს დაუკავებია თოფი ხელში, თავიდან ფეხებამდის შეიარაღებულა, ჩაუცვამს მშვენიერი ჩაქურა ტანისამოსი და ყანის პიშკართან ან ღობესთან დგას, ქალს კი დაუკავებია ხელში ნამგალი სჭრის სიმინდს, კონავს და შემდეგ კარგა დიდ შეკვრას იგდებს ზურგზე და მიაქვს სახლში, ქმარი კი წინ მიუძღვის თავმომწონეთ. ერთის სიტყვით ქალის მდგომარეობა, საზოგადოდ ოსმალეთში საშინელებაა, მეტადრე მდაბიო ხალხის ქალებისა, მაგრამ ქალაქებში ბევრად უარესი. მაგალითად ლაზისტანში ქმრები სრულიად არასფერს ფიზიკურად სახლში არ აკეთებენ. ყანას, ბაღჩეს, ძროხას, ქათამს და აგრეთვე სრულიად ოჯახსაც ქალი უვლის. კაცი მხოლოდ ბატონია ცოლის და იცავს ვითომ ცოლშვილსა და ოჯახს გარეშე მტრისაგან.

თვითონ ქალებიც ასე არიან დარწმუნებული, ამ ისტორიულის უკანონო და უსვინდისო მოქმედებით თვითონ, ქმრებზე რომ უთხრათ ეს ასე არ უნდა იყოსო, არაფრის გულისთვის არ დაგიჯერებენ.

ჩვენ შევხვდა მათს დიდმარხვის დროს მოსვლა, რამაზანის მე20 დღე იყო და ჩვენს სამის მეტი არავინ დღისით საჭმელს არ სჭამე არც წყალს სვამენ. აქაურობაში არსად ფულით საჭმელ-სასმელს სოფლებში არ მოგცემენ და ვერც ისე ეღირსები რამე ხეირიან საჭმელ-სასმელს. აქ სტუმრის პატივისაცემლად საკმარისია ყველი, პური და კვერცხი. ხალხი საზოგადოდ ძლიერ თავდადებულია და ზრდილობიანი. აქაურს ბავშვს რომ ერთი მანეთი შეჰპირდე, ერთს ჭიქასაც არ მოგიტანს, თუ თვითონ არ მოექეიფა, ან თუ მამამ არ უბრძანა. რამაზანს დიდიან პატარიანად ყველა ინახავს. არავითარი ცვლილება ახალი რეჟიმისაგან ჯერ აქ არ მოსულა. ლაზების ახალგაზდობის უმეტესობა შეიარაღებულია და მშვენიერი ჩაქური ტანისამოსი აცვიათ. ყველა საერთოდ საშინელი ფანატიკოსებია. აქაურობაზე არა თუ ქმირანი ქალები და გასათხოვარნი, თვით ათი-თორმეტი წლის ბავშვებიც კი თავიდან ფეხებამდის ჩადრში გახვეული დადის. სამი დღეა რაც აქ სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში დავდივართ და არც ერთი ქალის, ახალგაზდა არც მოხუცებულის სახე არ დაგვინახავს, ზოგს ჰგონია, ოსმალეთის ახალმა მთავრობამ ქალებს უფრო თავისუფლება მიანიჭაო, მაგრამ ეს მართალი არ არის. სულთან ჰამიდს ტყვილა აბრალებენ, თითქო მას ბრძანება გამოეცეს როდისმე, რომ ქალებმა თავიდან ფეხებამდის ჩადრში გახვეულებმა უნდა იარონო როგორც ამას ვკითხულობთ „კურიერის" გუშინდელ ნომერში (იხ. „კურიერი" 21 სეკტემბრისა). სულთან ჰამიდი სრულიად წინააღმდეგ ბრძანებას სცემდა ხოლმე. მას ეშინოდა, რომ ქალებს სრულიად ჩადრში გახვეულებს ევლო, რადგან შესაძლებელიაო, ეგონა მას, რაკი ქალები ასე თავიდან ფეხებამდის ჩადრში გახვეულები იქნებიან, კაციც გაეხვევაო ჩადრში და რაკი ქალები საზოგადოდ ხელუხლებელია ოსმალეთში, ეგებ ასეთის ტანსაცმელით კაცმა შეუმჩნევლად მომკლას კიდეცაო.

საზოგადოდ ახალგაზდა ლაზები ძლიერ ლამაზები და ჩაქურ ტანისამოსში და ყაბლახებში მათ ფიზიონომიას გურულებში ვერ გაარჩევთ, მოხუცებულები კი, პირდაპირ მაიმუნებს მოგაგონებენ. შეკრეჭილის ულვაშებით, უშროთ შეპარსულ-შემოპარსული წვერებით და გაკრეჭილი თავით.

**იასე რაჭველი.**

23 სეკტემბერი
ქალ. ორხავე.

## რუს-იმერელს.

მთას იქითელო ვაჟკაცო,
მთას აქეთ გამეხმაურე:
წყლულს ესალბუნე ნექტარად,
სულს აიაზმა ასხურე.
მადლობელი ვარ სალმისთვის,
ძმა ძმურად მომიმსახურე.
მოვმართავ მჭვარტლიანს ჩონგურს,
სიმნი იწყებენ ჟღერასა
და მეც ძმობილის სახსოვრად
ასე დავიწყებ მღერასა:
დიდებულს დედა-მიწასა
დიდებული აქვს წესია,—
სითბოს, სინესტეს თხოულობს
რაც მაზე დანათესია,
საზრდოდა, თორე მცენარეს
მყის გაუხმება ფესვია.
დააკლდა სითბო და ნამი,—
ჭკნებიან ვარდნი, იანი.
ცრემლს ჰღვრიან მჭმუნვარებისას
ცხოველ-ფრინველნი, ჭიანი,
სატრფოს ივიწყებს, ბლანტდება
ხარი ირემი რქიანი;
შვილებზე აღიბეჭდება
ცხოვლად ბუნების ზიანი.
რად გიკვირთ? მეცა, ვით შვილსა
ამავე დედა-მიწისა
ავი თუ კარგი, ყოველი
თვისება მჭირდეს იმისა.
მეც ნამი მჭირს და სითბო—
გული ჰყვაოდეს, ლაღობდეს,
დიდებულს მცნებას ბულბული
იქ დაუდგრომლად გალობდეს—
რად გიკვირს კარგის ნახვამა
ამაფრთოვანოს ცამდინა?
არ მეყო სიდუხჭირემა
რაც მტანჯა, ცრემლი მადინა?!
ცოტამ რამ ეს ქმნა, წვიმამ კი
მიმაგდოს გრძნობის ზღვამდინა!..
გათავდეს, ვინაც გაგვთელა,
ვინც ჩვენი საქმე ახდინა,—
ვინც ორმოს გვითხრის, ვაება
ჩვენს თავზე გადმოადინა!

**ვაჟა-ფშაველა.**

## „ბაბაჰ!.."

### ფსიხოლოგიური ეტიუდი.

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების საშვილიშვილოდ გადაეცემის"
ნ. ბ.

### I

ნელი ნაბიჯით მივდიოდი ერევნის მოედნიდან სომხის ბაზრისკენ, რომ ერთბაშად მომესმა—„...ბაბაჰ!.." ოოოხ!..—ამოიოხრა ილომ, ასე ეძახდენ მას, ვინც ეს ამბავი მომიყვა,—რა დიდი შთაბეჭდილება, მოგონება და სულის, თან დამატკბობელი. თან აღმაშფოთებელი გრძნობები ამიშალა ამ ერთმა სიტყვამ „ბაბაჰ!" არ შემიძლია ოდნავად მაინც გამოვსთქვა იმ დროის ჩემი ფსიხოლოგიური მდგომარეობა. რაღაც არა ჩვეულებრივი სიამსიმწარე ვიგრძენ, უცებ გულის ძგერა ამივარდა, თავბრუ დამესხა და ლამის ქვემოდამ მოქანებულს ეტლს არ მოვყევი ქვეშ. არ ვიცი რენაირად, ვისიმე საშველებით, თუ ისე თავის თავად, იმ ქუჩაზედვე სპარსელი მეხალიჩის დუქანში შევედი. დუქნის პატრონი მიცნობდა და, შემომხედა თუ არა, მომაძახა, „რა ამბავია, ავად ხომ არა ხარო და, სკამი მომაწოდა,— არაფერია, რაღაც გული მერევა მეთქი მიუგე მე. წყალი მომიტანეს, დავლიე, მაგრამ არა მიშველა-რა, ვერ გამოვერკვე ოცნებას...

მთელი ჩემი წარსული თვალწინ დამიდგა, მომაგონდა ყველა განცდილი, განგრძნობ-ნანახი ხანა ჩემის ცხოვრებისა და, იმ რამოდენიმე წამში გადიკითხე ჩემი გულის ფიცარზე მთელი ჩემი სიცოცხლის ისტორია. თვალწინ დამიდგა ყველა ის სურათები რაც მე განმეცადა მ ჩემს მრავალ წლოვან წამებულ სიცოცხლეში.

### II

რამ იმოქმედა ჩემზე ასე?.. მხოლოდ იმ იდუმალმა, მაგრამ ცხადად გაგონილმა სიტყვამ „...ბაბაჰ!".

დიაღ, ჰყო ჩემს ცხოვრებაში ისეთი წამები, როცა მე ბედნიერად ვგრძნობდი ჩემს თავს... და, ეს წამები მომაგონა ამ ჩამოძახილმა „...ბაბაჰ!.."

ვინ ჩამომძახა ეს. ოდესმე ჩემი ბედნიერების და ახლა კი უბედურების მომასწავებელი სიტყვა?... ეს ძნელი გასაგებია. და ჯერ კიდევ მეცნიერებასაც კი ნამდვილი, გარკვეული წარმოდგენა არა აქვს ასეთი მოვლენის შესახებ, მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ადამიანის მეხსიერებას აქვს ასეთი თვისებები, ანუ რაღაც გამოურკვეველი შემეცნების ჰანგები, რომელიც ჰკრებს, როგორც სასიამოვნოს, ისე სამწუხარო გრძნობებს და ინახავს იმას, მიდის დრო, როცა ეს ჰანგები, თუ შემეცნებანი წაატყდება სწორეთ მისს მსგავს თვისების ჰანგებს, თუ გრძნობას, მოჰყავს მოძრაობაში ის მიყუჩებული ნაშთი გრძნობის რომელიმე ნაწილისა და გამოჰკვეთს, აღმოაკვნესებს მის გულში მასშივე დამარხულ სულის კვეთებას და აი, ეს აღმონაკვნესი ალბად ხვდება ტვინის შემაერთებელ ძარღვს და აქედან ესმის ყურს ის დიდი ხნის „ცხოვლად სულზე დამჩნეული"...

აი, ასე ვხსნი მე ამ მოვლენას. სხვაფრივ ვგონებ ვერაფრით ვერ აიხსნება ეს. აბა ვინ, რისთვის, როგორ დამიძახებდა მე ქუჩაში მიმავალს, სწორეთ იმ ხმაზე, ისე უმანკოდ, ისე ნაზად, ანგელოზებრივად „ბაბაჰ!"—არავინ.

— კი, მაგრამ რად იმოქმედა შენზე ასე სასტიკად ამ ერთმა სიტყვამ,—ვიკითხე მე.

— ეჰ!.. ეჰ!..—მომიგო მან.—ჩემს ცხოვრებაში ყველაზედ ცხოვლად ეს ერთი სიტყვა მახსოვს, რომელსაც დაუტკბია ჩემი სიცოცხლე... ეს სიტყვა... ილოს ცრემლები მოერია, თავი ჩაღუნა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დასძინა,—მარტოკა ვარ, მარტოკა და მარტოობა მიხუთავს სულს, ყოვლის მხრით მარტოკა ვარ და განა ღირს ასეთი სიცოცხლე?..

— მე მაინც ვერა გამიგია-რა მეთქი. მიუგე მე.—რისთვის გტანჯავს ის სიტყვა, რომელიც, როგორც შენ თვითონ ამბობ წინეთ გატკბობდა და რად ხარ მარტოკა?

— ოჰ!.. რა უნდა გითხრა, განა ღირს ლაპარაკად, მაგრამ... ამ საშინელ ქვეყანაზე.—დაიწყო მან ისევ,—ღმერთს თუ ბუნებას ასე გაუჩენია: ცოლ-შვილი, ოჯახი და საზოგადოება. აი რა ასულდგმულებს საბრალო ადამიანს. თვით დიდებული ტოლსტოიც ამბობს „სრული ბედნიერება ცოლშვილია"-ო, მაგრამ განა შეიძლება დღეს ასეთი ბედნიერება? იმისათვის, რომ ბედნიერი იქნე ცოლშვილით, საჭიროა ამ ცოლშვილის ღირსება შენს ღირსებასთან ერთად უნაკლულო იქნეს და, განა ეს შესაძლებელია?.. მეტადრე ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში?.. არა და არა. მაშასადამე არ არის ბედნიერება...

„რა არის იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია"-ო.

### III

— მხოლოდ, როგორიც უნდა იყოს ეს ცოლშვილი ის, ასე თუ ისე მაინც ბედნიერებად უნდა ჩაითვალოს, რადგან უმისობა სრულიად უბედურებაა.

„ცოლს შვილი მოსდევს, შვილს იმედი და ასე ატყუებს ადამიანი თავის თავს და ათრევს ამ წამებულ, უმნიშვნელო სიცოცხლეს. ფიქრობს, ოცნებობს, ბოდავს... აი, აგერ გამოვზრდი შვილს, გავანათლებ და მეყოლება ნუგეშად. რაც მე ვერ მოვასწარი, ის გააკეთებს და სხვა მრავალი.

„ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაინც უძვირფასესია გრძნობიერ მშობლებისთვის შვილი, შვილი პაწაწა, უმანკო, ანგელოზებრივი, გულუბრყვილო, მოტიტინე. ხან წაბორძიკდება. გადაკოტრიალდება, იცინის, ტირის, გეეშმაკება, ჯიბეებს გიჩხრეკს...

### IV

„მახსოვს ასეთი წამები და დიდიხანი კი არ არის მას აქეთ, როცა მივდიოდი სახლში, მიმიხაროდა, გული რაღაც სიამოვნებით სავსე მქონდა. რაც გინდა ცხოვრებას უკუღმართი ბედი ერგუნებია, მაინც სახლისკენ ხალისით მივეჩქარებოდი. რაები არ მიმქონდა თან ჩემი პაწაწინა „კუტრულიას"-თვის: კამფეტები, კუკლები, ათასნაირი სათამაშოები, ბურთი, ურემი და სხვა... ახლა უნდა გენახათ ჩემი, ოჰ ღმერთო .. ჩემი პაწაწა, რანაირად მიცდიდა კარებთან, უმეტეს შემთხვევაში კი ბალკონიდან გადმომცქეროდა ხოლმე და როცა დამინახავდა მიმავალს, მორთავდა ზემოდან ტიტინს, ბაბაჰ!.. ბაბული!.. ბაბული!,. ჩქალა.., კალი!.. კალი!., ისე გაუნათლდებოდა მთელი სახე, ისე გაფართქალდებოდა, როგორც ბარტყი, როცა დედა საჭმელს მიუტანს, გეგონებოდა საოცნებო ანგელოზიაო.

რა ამბავი იყო შემდეგ, როცა სათამაშოებს მივსცემდი, ამას იგრძნობს და მიხვდება მხოლოდ ის, ვისაც ეს გამოუცდია, უნახავს. განა შეიძლება მისი მოთხრობა?

### V

აი ასეთი ბედნიერი წამები მახსოვს. ვსტკბებოდი უსაზღვრო სიყვარულით, იმედით, ვსასოობდი, მიყვარდა და უყვარდი. რამდენჯერ დაუხსნივარ ჩემს პაწაწას განსაცდელისაგან, უბედურებისაგან. ყოველგან თან მდევდა მისი აჩრდილი, მფარავდა მისი ანგელოზი.

„ბაბაჰ!"—ლათ ხალ მოწყენილი, ჩემო ბაბული?.. ლა მომიტანე?.. ჩემო ბაბაჰ! აჰ!.. მომეხვევოდა, მომეალერსებოდა და ისეთნაირად მომაფართქალდებოდა. რომ ყველაფერს ვიტანდი, ვსალკლდევდებოდი, ენერგია მიათასკეცდებოდა, დაღლილ დაქანცულს ძალღონე მიბრუნდებოდა და ისევ ვახლდებოდი ცხოვრებასთან საბრძოლველად.

„დიაღ... ასე იყო ეს... მაგრამ ახლა ასე კი აღარ არის. გაქრნენ ის ძვირფასი დრონი, ის საამო სურათები და მისი ადგილი დაიჭირეს სრულიად წინააღმდეგმა გრძნობებმა—სიტკბო-სიმწარემ, სიცილტირილმა და იმედი-უიმედობამ.

—

„ასეთია ეს ქვეყანა და რას იქთ, დღეს რომ ბევრს კარგს გიქადოდეს, უკან მოადევნებს ხვალ ავს"-ო!

### VI

„აღარც წარსული, აღარც აწმყო და აღარც მომავალი აღარ ახარებს გულს იქ, საცა არ არის სვინდისი, პატიოსნება და ადამიანობა, საცა უმრავლესობა მონაა და „ჯამის ტლაკია", ზნე დაცემული, საცა სვინდისი ქვენა გრძნობებს აყვს დაკავებული, საცა არც დიდი იციან არც პატარა, საცა არც სირცხვილია არც ნამუსი, საცა უმანკოება მანკიანობად მიაჩნიათ და მანკიანობა უმანკოებად, საცა ნათესაობა და თვისტომობა არ არის, საცა თავისიანი სძულთ და ვერც სხვისას ითვისებენ, საცა სიკეთის წილ სიავეს მოგაგებენ და რაც ყველაზე უსაშინელესია, სხვისას ბრმასავით იჯერებენ და თავისი კი არაფერი აქვთ..

### VII

რაღა დარჩა?.. აღარაფერი. განაღა ოცნება და ისიც ფრთაშეკვეცილი, უშნო.

*) იხ. „ივერია" № 39.

ულაზათო, უმგვანი და უმნიშვნელო. და აი, ამ დროს, ასეთს საშინელს დროს აბობოქრებული გრძნობები, აშლილი ნერვები მიმოიფანტებიან ხოლმე გარშემო და გესმის საიდანღაც, ვისგანღაც ცხოვლად და მკაფიოდ. ის ნეტარი, ის უკვდავი, ის უმანკო მოტიტინე ბავშის ხმა „...ბაბაჰ!..“ და ეძლევი რაღაც საშინელ გრძნობებს, გამოურკვეველ ფიქრებს, გეფანტვის გონება საზარი და მიჰქრი, მიჰქრი სადღაითკენაც, საცა არ არის არც დასასრული და არც დასაბამი.

**VIII**

ასეთია შეურაცხყოფილი ადამიანის სულის კვეთება, ასეთია გაცრუებული იმედის ნაშთი.

**XI**

ასეთია „მარტობა სულისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა“.

**X**

„ვაი ბაბუასო“—
თქვა მგოსანმა—
და, მეკი დავსძენ—
„ვაი ბაბაჰ!..“

1908 წელი **იახე რაჭველი.**
ივნისის 20,—თფილისი.

## „ი მ ე დ ს“ *)

**ქებათა-ქება ბათუმში ღვინის საწყობის „იმედისა“.**

ბათუმს გაიხსნა „იმედი“
საწყობი კახურ ღვინისა,
სასმელის მამა-პაპურის,
ჩამსველებელის პირისა,
გულიდან ჟანგის გამწმენდის,
გამომრეკელის ტვინისა
ხუთნი ვაჟები იყვნენ იქ
საპატრონებლად იმისა.

—

იმ ხუთში ერთმა გძელ ვაჟმა
(ბესოა იმის სახელი)
გულში ჩაიდო სხვა ფიქრი,
ძნელათა გამოსათქმელი
და სამი ვაჟის იქედან
შეიქნა გამომდევნელი,
რომ თითონ მას დარჩენოდა
„იმედის“ საბრძანებელი.

—

შემოკრბენ მედიატორნი
საქმისა ამის მრჩევლათა,
ბესომ სიცრუე დაჰყარა
ფიცხლათ, ჩქარ-ჩქარა, ცხელადა...
იცნეს ის ბევრი ტყუილის
გამომცხობელათ, მთქმელათა,
და სამი ვაჟი მას მერე
ღიღინებს გულდამწველათა:

—

„ვაი რა გვიყო ბესომა,
კარს მოგვაყენა რა ბედი,
სულ ყველა დავატყუილა,
დაგვწვა მან, ვითა აბედი!..
გოდრებით დადგა ტყუილი,
ვერვინ მოღალა, ვით ყბედი,
თითონ დაბრძანდა და ჩვენ კი
გამოგვაცალა „იმედი“.

—

მედიატორნი გაკვირდენ
იმისა ბაქი-ბუქითა,
მის პირზე მომდგარ დორბლებით,
ხელის შლითა და ხტუნვითა,
ვერ შეაჩერეს, არ იქნა,
სტოლსა შეეხო მუშტითა,
თითონ თქვა: ამხანაგებსო
დავუდგი ტყვილი გუდითა!..

—

უფსკრულისაკენ მიჰყავს მას
„იმედი“ კახურ ღვინისა,
სასმელის მამა-პაპურის,
ჩამსველებელის პირისა,
მას, როგორც ჩინურ ენასა,
არა ესმის რა იმისა.

**წკიპურტი და მათური.**

## პატარა ფელეტონი

### ტ უ ფ ლ ე ბ ი.

სცენა მონოლოგი
(რუსულით)

სხსიკო წკიპურტაძე. (შემოდის გახარებული) ახ, რა რიგ ბედნიერი ვარ! ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვარ! ბედნიერი, როგორც ბავშვი, რომელსაც ახალი სათამაშო ნივთი უწყალობეს; ბედნიერი, როგორც ტრამვაის ქვეშ ჩავარდნილი და მხოლოდ ხელ დაშავებული ადამიანი; ბედნიერი, როგორც ბანკის დირექტორი, რომელმაც მოი... მოიხარჯიანა ასი ათასი და რომელიც სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო; ბედნიერი ვარ თავ-დავიწყებამდე, თავის განწირვამდე.—ერთი სიტყვით ყოველ-გვარ სისულელემდე!

დღეს რომ ქუჩაში მოვდიოდი, უცაბედად ფეხი დამისხლტა და ბრახვანი კი მომძვრა ძირს... ეს შენიშნა იქვე კარებში აყუდებულმა მეეზოვემ და დაცინვის კილოთი მითხრა:

—აიღე, ბატონო და მეორე გვერდით გადაგორდიო!

ვეცი—გგონიათ საცემრად?—სულაც არა... მე პირ-იქით გავექანე თითქმის გულში ჩასაკრავად და ერთი უზალთუნი ჩაუდე ხელში, რამაც ძრიელ გააკვირვა მეეზოვე.

მეეტლეც, რომელმაც მთელი საათი მატარა ერევნის მოედნიდან ხარფუხის უბნამდე,—ისიც კი დავასაჩუქრე. იმ ტუტუცმა კი ვერ გაიგო, რაში იყო საქმე, ვერ გაიგო ჩემი ასეთი უსაზღვრო ბედნიერბეა და არც აქეთ, არც იქით ასეთი კითხვა მომცა:

— ბატონო! იქ ხომ არ გაწუხებენ? „დოხტურს“ მიმართეთო. ქარაფშუტა! იმას ეგონა, თითქო რაღაცა სენით ვიყო შეპყრობილი და სწრაფი სიარული აკრძალული მქონდეს.., სრულებით ვერ მიხვდა, რომ მე ბედნიერი ვარ... მხოლოდ ბედნიერი... მზათა ვარ ყველას გადავეხვიო, ყველა დავლოშნო... იცით, შიგნით რაღაცა მიცახცახებს.., რაღაცა ნეტარების ჟრუანტელი მივლის ტანში... მე ფეხზე კი არ დავდივარ,—დავფრინავ, როგორც ბუმბული.

მერე როგორა გგონიათ, რატომ ვარ ასე ბედნიერი? რატომ? იმიტომ, რომ მე მიყვარს.

გარდა ამისა მე მაქვს ერთი ნივთი, რომელიც მას ეკუთვნის და რომლითაც შემიძლიან ყოველ წუთს, ყოველ წამს ვსტკბებოდე... შემიძლიან ვეტრფოდე... შემიძლიან ვკოცნიდე... შემიძლიან.. მაგრამ რიგ-რიგათ კი.

მხოლოდ ესა მაქვს სამწუხარო, რომ სიყვარულში ძაან უბედური ვარ... უბედური ვარ, რადგანაც მხდალი ვარ, მშიშარა; მხდალი კი იმიტომ ვარ, რომ ბავშობიდანვე მხოლოდ იმას მეუბნებოდნენ, რომ მე... როგორ გითხრათ? რომ მე... ვითომც არა მიმზიდველი სახე მქონდეს, ამასაც ამბობენ, რომ როდესაც ჯერ სულ პაწია ვიყავი, რომელსაც—რასაკვირველია —ცოტა მესმოდა კიდეც: გამუდმებით ვტიკტიკებდი და ვლაზღანდარობდი... ხოლო როდესაც გადია სარკესთან მიმიყვანდა მაშინ კი საშინელ ჟრიამულს და აყალ-მაყალს ავტეხდი თურმე.

მე ხომ მაშინ არ მესმოდა, რომ სარკეში ჩემს მშვენიერს სახეს ვხედავდი?! საშინლად ვღრიალებდი და თითს სარკისკენ ვაჩვენებდი:—გადია, გადია, შეი ჰილიმე ის ბოლოლა გააგდე, ალ მიდა? მეშილია-მეთქი! მართალია სრულ წლოვანებასთან ერთად ყველაფერი დაიკარგა და, ვგონებ, სხვას არაფრით ჩამოუვარდები, მაგრამ... ეს ოხერი ეჭვი და უნდობლობა... ასე ვთქვათ ჩემი სახის სილამაზისადმი მაინც დარჩა.

ზოგჯერ ტრფობის ალით აღგზნებული პირის დაღებას ვაპირებ:—ქალბატონო, მე თქვენ მიყვარხართ!.. მაგრამ ამ დროს თითქო ქაჯი ჩამჩურჩულებს:—ეჰ! რა შენი საქმეა შენი დიდებული სახით სიყვარულის გამოცხადებაო? ძალაუნებურად ხმა ჩამიწყდება...

იმ დროს კი, როდესაც სხვები ბედნიერებაში ინთქმებიან, განცხრომის ტბაში დასცურაობენ და სიამის ყვავილებს ჰკრეფენ,—მე ჰოტივით ვზივარ, თვალებს ვახამხამებ და დათვივით ვბურტყუნებ:—კარგი ხილია, მაგრამ შენთვის როდი დამწიფებულა! კარგი ყვავილია, მაგრამ შენმა ცხვირმა არ უნდა იგემოს მისი სურნელება...

ამას გარდა, უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ არავითარი სხვისგან მოძღვნილი საჩუქარი არ მომეპოვება. ზოგიერთ ბედნიერებს კი აუარებელი: ფერადფერად ქაღალდებზე დაწერილი ბარათები, საათის ბუდე, ნაქსოვი ტუფლები, ბეჭდები, ცხვირსახოცები, ათას-გვარი ყვავილები და სხვა აქვთ... მე კი შავი ქვის მეტი არა გამაჩნია-რა... აი, ეშმაკმა კი დალახვროს ჩემი იღბლის შემთხვევლი!! სწორედ მოგახსენოდ ეს... ეს შეუძლებელია, ეს, რასაკვირველია, არა სასიამოვნოა და ამასთანავე საწყენიცაა და სატკენიც. მართლაც და, მე ხომ მაინცადა მაინც არც ისეთი მაიმახი ვარ, როგორც ზოგიერთა უვიცი მუშები და ხელოსნები, რომლებიც დღე და ღამ გათხვრილ-გათხუპნულები დაყიალობენ?!. პირიქით ჩემი სახე ფართოთ გარდაშლილია, როგორც მწვანეთ მობიბინე მდელო... წითელ-ყვითლად ლაჟღაჟებს, სუფთაა, სპეტაკი და ფაქიზი... სხვა რაღა უნდათ?!. მაშ სხვებს რატომ აქვთ სხვისგან მოძღვნილი საჩუქრები... მე კი არა?! იმიტომ, ბატონებო, რომ ლობიო ვარ, სიმხდალეს დავემონე და ეს არის.

როცა ბატონებო, საქმე საქმეზედ მიდგება ჩემს ენას მაშინ გაუწყრება ხატგამჩენი: ან სულ უნდა ჩამივარდეს ან გაქვავდეს, ან არა და ისეთი სისულელე უნდა წამოაყრანტალოს, რომ სირცხვილით მე თვითონვე ვიკვნეტ ტუჩებს და დაბადების საათს ვიწყევლი.

ასე გასინჯეთ ერთი პაემანიც ვერავის დაუნიშნე.

კარგად მახსოვს, ერთი მემამულეს ქალი მიყვარდა, ისიც თითქოს თანამიგრძნობდა... ყოველ შემთხვევაში, ისეთი არაფერი მომხდარა-რა, რასაც ჩემი თავმოყვარეობის დამცირება შეეძლო.

ერთხელ გადავსწყვიტე: მოდი მარტოდმარტო მოველაპარაკები და ვსთხოვ, რომ ბაღში მოვიდეს და საქმესაც გავჩარხავ-მეთქი.

ამაზე ადვილი განა კიდევ იქნება რამე? მაგრამ არა! აქაც მიმტყუნა ენამ, იმის მაგიერ, რომ მეთქვა:

— ქალბატონო, იმდენად კეთილი ხომ იქნებით, რომ ხვალ ბაღში მობრძანდეთ? მე თქვენთან... მოსალაპარაკები მაქვს.— ამის მაგიერ კი, ბატონებო, ვღეჭე, ვღეჭე, და ერთბაშათ წამოვროშე:— ქალბატონო, ხვალ თავლაში არ მობრძანდებით-მეთქი.

— რისთვისო?—მეკითხება.

დავთრები დამებნა. საქმის გამოკეთება მინდოდა. მაგრამ უფრო უარესი დამემართა,—აი გოჭების სანახავად, მეტად საინტერესო სანახავია-მეთქი.

არა ერთი თქვენ მიბრძანეთ, გეთაყვა რა შუაში იყო აქ თავლა? ან ეს ტიალი გოჭები რიღასთვის ჩავჩხირე?! ყველა ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ... რამდენიმე წუთის წინ დედასთან ბაასი მქონდა გაბმული სამეურნო საქმეთა შესახებ და აი ეს გოჭები იქიდან ჩამიძვრენ თავში.

კიდევ ერთ ახალგაზდა ქვრივსაც ვეარშიყებოდი, უნდა გამოგიტყდეთ, მშვენიერი ქარგვა იცოდა. აზრად გამიელვა, მოდი ვსთხოვ, სამახსოვროდ ქოშები მომიქარგოს-მეთქი?!

აი ერთ საღამოს მისი საპირფარეშო ოთახში ვსხედვართ ერთად. ყველაფერი ხელს გვიწყობს: რბილი მოწითალო საჯდომი, ზამბახის მგზავსი აბაჟურიანი ლამფა, თვითონ კი მშვენიერთა-მშვენიერი, კეკლუცთა-კეკლუცი!!! ერთი სიტყვით ნამდვილი ხორც შესხმული ვენერა. ძალ-ღონეს ვიკრეფ სათხოვრად... მაგრამ ეს ოხერი ენა ლეშივით უძრავად გდია... ხმას ვერ ვიღებ და, რადგანაც გოგრაში მარტო ტუფლების შესახები აზრები მიტრიალებს,—მთლად გამოვჩერჩეტდი და ჩექმებს დავსცქერი. მანაც შენიშნა ეს და მკითხავს:

— ეგრე გაშტერებით რად დასცქერით ჩექმებსო?! პირი დავაღე და ტუფლების თხოვნის მაგიერ წამოვროშე:

— ეხლა ახალი ჩექმები მინდა ვიყიდო, ამას მოდა დაეკარგა და ძირებიც სულ ერთიან დასცვინდა-მეთქი!

არა, ერთი თქვენ მითხარით, ხმის გაწყვეტა არ მერჩივნა? არა, რა გინდა, შე ოხერო ჩემო თავო? სისულელე და სიცრუე დაფქვი;—გაჩერდი შენთვის რაღა?!არა! უფრო ღრმად შევტოპე.

—· ახ რომ იცოდეთ, რა სასიამოვნოა ახალი ჩექმების ყიდვა... მეტი ხორცი—ბებერა მაწუხებს და ამას იმიტომ მოგახსენებ-მეთქი... და კიდევ, ალაჰმა უწყის, რა არ წამოვაყრანტალე.

ჩემ მზეს გეფიცებით უტყუარს მოგახსენებთ, სრული ჰეშმარიტებაა...

ეხლა კი სულ სხვაა! ეხლა მე ბედნიერი ვარ. ამაყი, გმირი ვარ, ნამდვილი გმირი!.. ეხლა სხვებზე ნაკლები არც მე ვარ იმას ვუყვარვარ, ისიც თანამიგრძნობს... ეს ყოველ ეჭვს გარეშეა, მე ეს უკვე დიდი ხანია შევნიშნე, მაგრამ არა მჯეროდა... ხშირათ ერთათ ვისხედით... ის დიდხანს შემომცქეროდა, დაკვირვებით მიმზერდა სახეზე და... უცებ გადიკისკისებდა.

— რა დაგემართათ?—ვეკითხებოდი.

— არაფერიო, მიპასუხებდა... თქვენი სახე სხვანაირი...

რანაირი? თითონაც არ ამბობდა ამას! აშკარაა „რანაირიც“ არა სასიამოვნო რომ ყოფილიყო, ხომ ზურგს შემომაქცევდა?! ის კი მიყურებდა და ხითხითებდა!—მაშასადამე მოვწონდი... ხომ ასეა?

დიდიხანია განზრახვა მქონდა მისგან რაიმე ნივთი მიმეღო საჩუქრად... რამდენჯერმე სიტყვაც გადაუკარ ამის შესახებ; მაგრამ ამაოდ. განგებ იკატუნებდა თავს, ვითომც არ ესმოდა. ბოლოს გადავსწყვიტე მოშეპარა... რა ვუყოთ? ეხლა ხომ ხშირი მოვლენაა?! ასეთი დროა... მილიონებს იპარვენ და არასფერი მოსდით! მაშ მე რომ რამე მოვიპარო, ეს რა დიდი ცოდვა იქნება?!

ასეც მოვიქეცი...

გუშინწინ მთელი საღამო მასთან გავატარე და, როცა შინ ვბრუნდებოდი, უცებ... ოხ, წუთო ბედნიერებისავ!—მის მისაღებ ოთახში მაგიდაზე მისი ვერცხლით მოქარგული, ცისფერი ხავერდის ტუფლები ეწყო, მშვენიერი... პაწაწკინტელა როგორც ორი ნაჭუჭი! არც ვაცივე, არც ვაცხელე – ჯიბისკენ ვუკარ თავი და ჰაიდააა—მოუსვი!!

სახლში დავბრუნდი. სიხარულით კინაღამ თავი ჰერში ვკარ... უნდა გამოგიტყდეთ, რომ თავის-თავად ტუფლები ძველია, გაცვეთილია. მაგრამ მის ფეხებს ხომ ამშვენებდნენ?! მე თვითონ ვნახე, როგორ ათბობდნენ, ატარებდნენ... და მეც გიჟისავით ვეხვევოდი იმ ტუფლებს, ვკოცნიდი, ნეტარების ცრემლს ვასხურებდი!!! მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს... ვეგდე სარეცელზე, ვბოდავდი, ვოცნებობდი, და გულში ვიხუტებდი ჩემს ტუფლებს! ჩემს ტუფლებს!!!

დილით ვერ გავბედე გამოვტეხილიყავ ჩემს დანაშაულობაში, წერილი დავწერე და გაუგზავნე... გულახდით ვუამბე ყოველივე. ყველაფერს აღტკინებული სიყვარულითა ვხსნიდი. მივწერე, რომ მისი ტუფლები საწერ მაგიდაზე მისვენია შუშის გუმბათის ქვეშ.., ყოველ წუთს გულ-მკერდზე ვიკრავ, ცრემლებს ვაფრქვევ, და ვკოცნი... ვკოცნი თავ-დავიწყებამდე, ასე რომ ცის-ფერმა ხავერდმა თავისი ფერი დაკარგა და რაღაცა ულაზათო ფერი მიიღო-მეთქი.

წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება და აღტაცება: ჩვეულებისამებრ დასაპატიჟებლად გოგო კი არა, წერილი გამოეგზავნა, —უკეთ რომ ვსთქვათ, თავის ხელთ-ნაწერი!

აი, სიურპრიზიც ასეთი უნდა! ტუფლებიც და წერილიც ლამის არის, ჰკუაზე შევიშყე (წერილს ამოიღებს) აი წერილიც... გახსნას ვერა ვბედავ, ნეტავი რას იწერება? გაუგებარი გრძნობა მეუბნება, რომ მან ბოლოს მაინც დააფასა ჩემი სიყვარული, მომიტევა და გულში ჩასაკრავად მიწვევს, ოხ, ჩემო მშვენიერო, ჩემო ძვირფასო! ეხლავე, ეხლავე გამოვფრინდ-გამოვსრიალდები ორთქლმავალის სისწრაფით, რომელიც გზას გადასცდა და სადღაც ჯურღმულში გადაიჩეხა (კონვერტს ჰკოცნის).

ღმერთო ჩემო, რა რიგ მიკანკალებს ხელები, თითქოს ხაზინადარი ვიყო, რომელიც ფულის ამოსაღებად სკივრში ჰყოფს ხელებს!! ეჰ! რაც გახდეს, გახდეს... (გახსნის და წერილს ამოიღებს) აი, მისი სახელი და გვარიც მარუსია კოხტალოვი. ჯან! ოხ ჩემო ღვთაებავ, ჩემო ჩიტოგვრიტუნიავ! (თავ-დავიწყებით ჰკოცნის) მაგრამ წავიკითხოთ. (კითხულობს კმაყოფილის ხმით) „უძვირფასესო მეგობარო“! (ხალხისკენ) ეს ვითომ მე ვარ მისი მეგობარი... ჯან! (კითხულობს) „უძვირფასესო მეგობარო! ტყვილად იხდით ბოდიშს: თქვენ არავითარი დანაშაული არ მიგიძღვით ჩემ წინაშე... (ხალხისკენ) სწორედ ანგელოზივით კეთილი სული აქვს! (კითხულობს) გირჩევთ, მოსამსახურე კეკეს მიმართოთ, რომელსაც ვაჩუქე ის ტუფლები. იგი უკვე ორი თვეა კიდეც რაც ატარებს მას... უკეთესი იქნება, ზომა სთხოვოთ და ახალი უყიდოთ, რითაც, რაღა თქმა უნდა, თქვენ დანაშაულს გამოისყიდით“. (წერილის ბოლო სიტყვებს გაუგებრად ბურტყუნებს. წერილი ხელიდან გაუვარდება. დიდი პაუზაა. ოფლს მოიწმენდს და ყველას თვალს გადაავლებს). მოსამსახურესაო?!! აი, ახალი ამბავი! კიდეც... კიდეც... იმიტომ ჰქონდა, ისეთი შეხედულება იმ ტუფლებს... თითქოს დანჯღრეული ნავიაო... მე კი ვკოცნ... ტფუ! (გააფურთხებს. სახე გამოეცვლება მძლავრად მოიწმენდს ტუჩებს ხელსახოცით.) აი, ესეც საჩუქარი! მართლაც, რომ დიდებული საჩუქარია! თქვენ... თქვენ რაღას იტყვით? როგორ მოგწონთ?—გმადლობთ! (დიდხანს უყურებს ხალხს, თითქოს რიღაცის თქმას აპირებდეს... პირს დააღებს მაგრამ სიტყვები არ ისმის... ენა არ ეძვრის, ბოლოს ხელებს ჩაიქნევს და მთლად განადგურებული ნელის ნაბიჯით გადის).

(ფარდა)

**ი. გრიშაშვილი.**

*) ეს ლექსი უკვე აწყობილი იყო ჟურნალ „მათრახი და სალამურისთვის“ და მხოლოდ „ოტისკის“ ამოღების შემდეგ აღარ დაბეჭვდინა ბ-ნმა პოლიო კ: ლანდაძემ რომელსაც, როგორც დანამდვილებით გავიგე, ამას წინათ უნახავს ბესო გოგეშვილი, ბათუმელ „იმედის“ გმირი. და რაღაცა ჩაუჩურჩულებია მისთვის (პოლიოსთვის), რომ ამ უკანასკნელს ლონე მიეღო და ბესოს შესახებ ჟურნალში არაფერი გაეპაჭანებია. რას იზამთ, ამისთანა სიმართლის მოყვარე გახლავთ ეს ვითომ და „სოციალდემოკრატები“ პოლიო და ბესო!.. **მათე გორგილაძე**

## რ უ ს ე თ ი

**პოლონეთში.**

პოლონეთში ახლახან პროტესტანტების დაბალ პროფესიონალურ სასწავლებლებში პოლონურ ენაზე სწავლება აკრძალეს. ასწავლეთ ან რუსულად ან გერმანულადო.

ადგილობრივი გაზეთები ამის გამო სწერენ.

პროტესტანტები აქ პოლონელები არიან, მაშ რად უნდა იყვენ ისინი ვალდებული გერმანულად ისწავლონ? ნუ თუ იმიტომ, რომ პროტესტანტობის დამაარსებელნი გერმანელები ყოფილან?

პოლონურის მაგივრად რუსული რომ შემოჰქონდეთ, კიდევ იტყოდა ადამიანი ხალხის გარუსება უნდათო, მაგრამ გერმანული რაღა შუაშია, ნუ თუ ადგილობრივ მთავრობას იმდენი ხათრი აქვს გერმანელების, რომ მათი გულისთვის უკანონობასაც აღარ ერიდებაო?

—

**რუსეთის სიავე.**

რეველში ერთმა გლეხმა ნამუსი ახადა ორ მცირე წლოვან ბავშს 14 წ. და 5 წ. და შემდეგ ორივე დანით დაკლა.

— ნოვოოსკოლის გამომძიებელი დაატუსაღეს. მას რამდენიმე ბავშვის გაუპატიურება ბრალდება.

## წვრილი ამბები

ოსმალეთის ხონთქრის საჰურისმა ნადირ-აღამ ჯვარი დაიწერა ხონთქრის ერთ-ერთ ყოფილ ცოლზე, რომელიც აბდულ-ჰამიდის ტახტიდან გადმოგდების შემდეგ ილდიზ-კიოსკიდან დათხოვნილი იყო.

—

ინგლისის გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდება ამბები იმ სიმხეცის შესახებ, რომელსაც სჩადიან ბელგიელები კონგოში. ადგილობრივ ხალხს ბელგიელები არ ინდობენ თურმე.

## ლ ე ქ ს ე ბ ი

შეკრებილი ანდრია მამუკას-ძის კობაიძესგან
**მთაში, სხვა-და-სხვა ადგებში.**
(გაგძელება) *)

ბლოვში გაზრდილა მიმინო ქორი ზარებულ მკივანი.
ადგა შეჰკაზმა ზერდაგი *) ზედ ორბი შესჯდა მხრიანი
ბლოს ღელე გადმოავლია საძელე მწვანილიანი.
შუშპრობით ჩამოავლია ქოთანა ბექ-ბუქიანი.
ტიმღელნი მექავსოელნი (ქისტები) ჯუთას სამზერლათ დიანო.
ჩაუსხდეს გზის თავს გზისძირში, ნაროზ ზედ შეიგდიანო.
ნაროზმა ხმალ ამოიღო ნაწყვეტნი გზის ძირს ჰყრიანო.
მეორე მექავსოველსა, ხელნ მუხლზედ ჩამოსცვიანო.
ხელ დაარეკა ლურჯასა, შინ წადი ოხერ-ტიალო.
ზედ დააკეცა ლაგამი, მათრახი ოქროს ტრიანი.
შინისკენ მოვა ლურჯაი მოტირის ქალურ თმიანი
ჯუთას მომიკლეს პატრონი, შინ მოვალ ოხერ-ტიალი.
ხევსურნ არჩევენ ნაროზსა ლაშქართა დოვლათიანი
მთასა გარდმოხდა ამბავი, მოვიდა არეშკასასა.
ბალაოლს *) მალულ ჩაუსხამ მთიბელსა არხოტისასა.

*) იხ. „ივერია“ № 39.
*) ცხენის სახელია.
*) ბალაოლ ალაგის სახელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატყვეობასა ამბობენ ხაროვანთ მწყემსებისასა.
იტყვიან კარქათ გარჯასა მაგ ცისკარაის შვილთასა.
ხრმლით ჩამორევას უბნობენ, გიორგანთ ჯამრულისასა.
დილითა გათენებისას ქისტებს მიჰკვალვენ ქვიშასა.
ხოლიგა ჩამოჰკიოდა ხელთ მოგცემთ თქვენის ჭკვისასა.
ამაზედ არ გამოგიშვებთ არც გზა გაქუსთ ჰალისასა,
ვინ იყვეს შენადირენი შიშსა ვინ დაჰყვეს კლდისასა.
დაუნიშნავდენ უბნობდენ დაბნელდა ვერ დავჰკრავთ ნიშანსა,
დაგვიკრეს თოლგანთ ძიძისა ნამტვრევს გაისრევს უბისასა,
მოგიკვეთ გადმოგაცილეთ თავ-პირს დაგადებთ ნიშანსა.
ლამაზად ვერ დაგიმიზნეთ მთებს მოეფარეთ კლდისასა.
ემაგ ლექსისა ნათქვამი ილაჯს მეც ვკარქამ ცდისასა.
ვერ ვიქამ თქვენსა ნაქნარსა ვერც გორგის დედისძმისასა.
მეც გელით გაყოლებასა ერთხელ სწავლებას გზისასა.
იმიტომ არ გამიყოლეთ ჯერას არ მატყობთ მხრისასა.
სათავეს რად არ დაისხამთ, ქოშს რადარ ასმევთ რვილისასა?
ახალა გელაისშვილი სიზმარს ნახევდის ცდისასა.
ცოლი დაუცხობს საგძალსა წამოვალს ჯალათისასა.
ხამხას სოფლის პირს მოვიდა დისწული დედის ძმისასა.
თოფს ესვრის საფეხნოშია *) მეხს დასცემს მაღლის ცისასა.
იქიდამ გამობრუნდება წამოვა უგზო გზისასა,
გამოუდგების მდევარი კვალს ვერ მოხელვენ მგლისასა.
ახალას ჯვარი ეწეროს გადუდგა გზასა მთისასა,
აბაიკთა ივანე ჯილაგს არ ჰკარქამს ცდისასა.
არ დადის ყაწიმიანთან დავა საკუთარ გზისასა.
უშიშას ოჩიაურსა გულჩი ძებნა აქვს ძმისაო.
კვირიკას კუკუათასა ჯერა სწადიან მხრისაო.
ადგეს ჩაიდვეს საგძალი მთა გაიარეს კლდიანი,
ქორაის მთაზედ გავიდეს, დილაა თვირთვლიანი,
მოუვა ჩხარგოველი (ქისტი) მანძილა რქა ჯანგიანი.
ჩამოეხვივნეს თოფებსა, მაჟრობმ გაილეს წკრიალი.
წელთ სარტყელ გააგლეჯინეს, მკუდარ გადმოაგდეს კლდეთაო.
ლუდის კლდეთ არწივ დაბრუნდეს, კვალ აქ მიგვიძღვის მტრისაო,
მომკლავი ბიძინაისი ქისტი წევს კალოს პირსაო.
ქისტო რამ გაგაგულადა? ფიქრი არ გქონდა მტრისაო!
ამბავი რად არ იცოდი ოჩიაურთა ხლმისაო?
მკუდარ გადისრივეს ალდეზედა ჩვენც ეგრე გვიყვეს მზირთაო.
იხადე გულ ბაათაო ნაქნარი შენის ძმისაო.
დაბრუნდეს ნასახელარნი დაკვლა მოსწადდა ცხვრისაო.
ღმერთმ იცის გელიკაშვილო!—არ გვინდი შენი ზიანი.
დაგმრავლეაიან ძროხანი აღარ გიკვეავენ თივანი.
ზამთრის ბარისკენ გასწევდი გზაი, რომ იყვეს ტიალი.
ჩამოხველ ამჟარიტაში ბარია სათიბიანი.
თუ თივა გაგითავდების სანაკერო ტყიანი,
შენ აგრე დაგძინებია ვითამ ჯიხვი ხარ რქიანი.
ქისტთ გაგილალეს ძროხანი, გამოჰყევ გულ ჯავრიანი.
გეთხის კარს ჩამოეწივე, არწივ ჰყოფილხარ მხრიანი.
შენ ხომ თოფის ხმას არ გასტეხ, თოფმ თვით გაილო ღრიალი.
ბევრგან გასწირენ კაგაო შენის ხირიმის ტყვიანი.
ბრალია ერეჯიფისა ნიშან არ გიჩნდეს ტიალი.
მეშვიდ-მერვეი ესროლე ქისტებმ გადილეს გრიელი.
ძროხანიც იქვე გასწირეს წავიდნენ პირ ლაფიანნი.
ნადირათ მელოს უთხარით ჩემ ნაბარებ ქართულია.
—შენ ლექსობა, შაირობა მთის ყურამდე მოსულია.
წინ წინაზედ გავიგონე გულმ დაიწყო ბახუნია,
გამოვიქე შინისაკენ გადმოვიღე ფანდურია,
შენ თუ ბარისტილაი ხარ მე მთაში ვარ გაზრდილია,
ზოგებს მეტყვის კარქი არის ზოგებ გარდალახულია,
ზოგებ იმას მეუბნების ეშმაკების დართულია.
როდეს ნახო გეგონების ჯოჯყა არის საფერია,
ვაცალ საქებ არყოფილა, შეხეთ ვირის თავ-ყურია,
არც საგებ აქუს, არ სახური, არც ხარი ჰყავს არც ფური-,
დაუწვებავ ლაპარაკი, საუბარი ბაქუნია,
მეფურგუნე რუსსა შეგავს, მიაქუს მოაქუს ბრაგუნია.

**საარშიყო ხევსურისა.**

თქვენც იცით ნუნუაი ვარ, ცხენს ვზივარ თავის ნიშასა.
შევკაზმავ მითხოს გადავალ გზას შევისწავლი მთისასა.
—ქალო შენ საქმროს მოგიკლავ, ციხეს დაგიქცევ ქვისასა.
ტანზედ ჩავიცვამ ჩოხათა ლეგ-ლუგას მითხოვლისასა.
—ისევ ვენაცვლი ნუნუას, სიტყვა რათ იცი ბრიყვათა?
მე ხომ იმდვე მაჩნიხარ, შენ ხომ არახარ ფინათა?
—ამა წინდებს შენთვის ვქსოვ მტყელსა მისთვის ვდებ შაბასა.
ნუნუავ! გამოგიგზავნი შენა მაგივრათ ნიშანსა.
—შენ ეგ არვისთან წამოგცდეს: „ეს ქალ ძალიან მიყვარსა„...
ეგ აბდულაის ფანდური გაუმართავს შტოლივითა,
დიდია და ვერ მოგვართვი მაღლა დავალს ქორივითა,
ბანზედ გამოისეირნებს თავადების ცოლივითა,
ყელი ყური მთვარეს უგავს, კბილებ ურგავს ბროლივითა,
მაგას ძუძუნი ასხენან სასაგებელ თხორივითა (თხორი ნართი ნახევი ძაფისა).
ამოზოგების ორთქლს გაუშვებს პარახოდის ბოლივითა.
ვინც, რომ მაგასთან ჩაწვების დაადნების მჟოლივითა იქ მჟოლი მალინა (ხილი)
ჰალაში დავხან ფეტვები, სულ ამოვღუპე ხარია,
გასაოხრები ტიელი, გლოვა დაუდგა დარია,
გადაველ ტყეში გავთხარე თორმეტი ადლი ღარია.
ყველა ყანაზედ მოუშვი რაც ალაზანი მტკვარია
ისეთი ფეტვი მოვიდა ვითა სიმინდის ტარია,
ბარაქალ მითხრა დედამა გაგიწევია ძალია,
აღდგომას შეგიპატივებ შენთვის მყავს შავი ვარია,
რაღაც ღუთის რისხვა დაატყდა შემომჩვევიყო კალია,
ნრთი ეგეთი ნამგალ მაქუს დაუკრამს როგორც ზარია,
წაველ და დაუწკარუნე ერთიც არ დაფთხვა კალია,
გადაველ ტყეში გამოვსჭერ გძელი შვინდისა წალია,
ხელ უკუღმა წამოუქნივე ერთი მძლივს მოვკალ კალია,
სამიოდ ოთხი შუბი აქუს, ხუთიოდ ექუსი მწკალია,
ერთი ისეთი კბილი აქუს რაც გალესილი ხმალია,
ვიდრე ის გამაფუჭებდეს ღმერთო შენ დამიფარია,
დავჯექ გავლესე ნამგალი მკვიდრი დავაგე ტარია,
იმის სამკალათ ვიწვიე რაც ბოდორნაში ქალია,
ქალებმაც ვერა დააკლეს—ქვრივებმა უყვეს ძალია.

**შვიდი წლის ტყვეობა.**

შვიდს წელს ტყვე ვიყავ დედაო, არ მილახიან ქვიშანი.
მძლივს ვნახე მეშვიდე წელსა, სარკმელში შუქნი მზისანი,
პირდაპირ შემომიფინეს თვალ-მარგალიტი სრავალი.
ავილე ორი არღანნი, ორის აღანით ვარ მავალი,
ავდექ და ახლოს მიუჯექ კოჰლათ გეგონე მოვალი
აგეთზედ გადმოუფრინდი, არ იყო გადმოსავალი,
თან მოყმე გადმომაყვალეს, ახლათ წვერ შემომავალი,
მე მოყმე ვერ მომეწივა მუხლად მე ვსჯობდი მოვალი
გამომაყოლა ისარი, ფრთე წვრილი მსწრაფად მავალი.
სუვსა მკრა გულსა მიწვდინა. მუხლი მომკვეთა მავალი,
ქორსა ხელ მივეც, ფრთე მომცა, მუხლი შემექნა მავალი,
ბუდეაულიყვნენ ყორანნი, თვალს ჰყეფდეს შუაღამისსა,
ეუანებიან: დედასა, სულს ვიყრით ხორცივლისასა,
— აცალეთ შვილო ნუ მოჰკლავთ, ჰირთ სჩივის შიმშილისასა,
მომიკვლენ შველის ციკანსა, მოაწითლებენ ქვიშასა,
მაგათ რომ პური მაჭამეს მადლი სცოდნია ტყვისადა,
აგეთზედ გადმომავლიეს არ იყო გადმოსავალი,
აგეთზედ ჩამომასწავლეს, ნადენ არს შველჯიხვისანი,
ორი თვე წყლის პმრს დავლივე, ხავსნი დავლოვენ წყლისანი,
გზანიც კი აღყვავდებიან, ცხვრისა და მემცხვარისანი,
წყალს მაგათ გამომიყვანეს ხიდნი გამიხსნეს მსხლისანი,
წყალს რუ არ გამოვეყვანე, მესხნი შემჰამდენ წყლისანი,
მესხთაც არ დამანებებდნენ ვეშაპნი ზღვის პირისანი;
ახლა ვნნახე საქართველო, მით შემექნა კარგი გული.
— რახარ? რათ დაიარები? გზაც რადმე გაქუს არეული?!
— არც მე ვიცი ვინ რამე ვარ!—ტყვე საით ვარ წამოსული!
—ჩემსა დასა მიგამგვასე მზე რამა ხარ ამოსული,
ამაღამ-კი შემინახე თუ გრწამს საქართველოს რჯული,
თუ დასავით არ გიწამო ხრალიც გამკვეთს გალესილი,
ჯოჯოხეთშიმც ჩავარდების, როდეს მოვკუდე—ჩემი სული,
ბაზდეთში ვარდნი ჰყვავიან, ძირათ ერთაის ხისანი,
მე სახვევნელათ მომინდეს ხორცნი თავისა დისანი
კინაღამ გამრისხებოდეს თვალნი მაღალის ღუთისანი,
არ მიმიღებდეს სულივრათ არ მიმიღებდეს მიწანი,
ცრემლნი არ მეღირსებოდეს ქალისანი და რძლისანი.
კარქს ყმას აჰმევ დედაო. დილას ადრიან სადილი,
ან ხმა რამ შემოვარდების, ან მთათ გაუვა ნადირი,
ცუდსა რათ უნდა ჩემს მზვვსსმ, მზის დაცხომამდე სადილი?
არც ხმა სამ შემოვარდების არც მთას წაუვლენ ნადირნი.
მგელი არწივი კაი ყმა არ როდის გაწურთნების.
მგელი არ მოშლის მგლობასა, კარგი ყმა მამაცობასა,
ბებერ არ მოშლის არწივი მთის ყურეთ ნადირობასა.
ჩიხს დაიბადა არწივი, უბნობენ ცოტა ხნისასა,
ამზადებს თოფ-იარაღსა, ახლა ხანსა ვარ ცდისასა,
მივალის თამარიძისას, ამბავსა ჰკითხავს მტრისასა,
დილაზედ ჩამოემართნენ ირანი თენებისასა,
ჩამოვა ტერლილონშია ჩამოაწითლებს ქვიშასა,
ეგ ნახეთ ძაღლო ქისტებო შურს ვეძებ ბიძაშვილთასა,
ვაჟო დაგვეხსენ ბერაო—ყალან დაგვადევ ღუთის მადლსა,
ჩვენზედ აიღე ბეგარა თეთრის ხარას და ცხვრისაცა,
თუნდა დაგოდევ, ვალანი ქალ-ვაჟისაცა.
გადიდდა ერთი თათარი, უბნობენ ხოჯა ხანია,
რასაც სიმაგრეს მიადგა სუყველას უყო ძალია,
ირაკლის შემოუთვალა, შემომეგებე გზაზედა,
გაწყრა გაჯავრდა ირაკლი, ალამს აბრუნებს თავზედა,
— მაშინ სად იყო თათრის დროს?— მე რომ შევიბი ხმალია!
გაიგო ლუდუშაურმა ლურჯას მიაკრა ნალია,
დილითა ჰკაზმავს ლურჯასა, თეთრი მთავარი ქორია:
— საით მიხვალი მამუკავ? საით მიგიქრის ცხენია?
— თათრებთან ომი მწადიან თუ ღმერთმა მომცა დღენია!
ვინც ნახა გზაში მავალმა ყველამ დასწერა ჯვარია,
გავიდნენ ქალაქის ბოლოს ქი დახვდა მძიმე ჯარია,
მამუკასა და ფაკოსა ერთურთზე ჰქონდა თვალია,
კარქა ხანს თოფით იომეს რიყესვით ხყარეს მკუდარია,
მამუკამ ხმალს ამოსწივა, ომის გუნებას ვარია,
ერთმა თათარმა გულსა ჰკრა, შავარდენს მოსწყდა მხარია,
ძმას დაუბარა ბერდიას მოდი დამავლე თვალია,
გულმხურვალეთ ნუ მიტირებთ, ჩემი დედა და დანია,
რამტველი გროვა აგია, ჩემთან თათრების მკუდარია?

რედაქტორ-გამომცემელი
**კ. ხერხეულიძე**

*) საფეხვნო საკრებულო ალაგი ხალხისა.

# განცხადებანი


НОВОСТЬ XX ВѢКА
СТАЛЬНАЯ-АЛЮМИНIЕВАЯ




Акц. О-во
АЛЕКСАНДЕРВЕРКЪ
А. ФОНЪ-ДЕРЪ НАМЕРЪ.
МОСКВА, Мясницкая, № 20.
ХАРЬКОВЪ, Московская, № 11
И ВО ВСѢХЪ ЛУЧШИХЪ МАГАЗИНАХЪ
ХОЗЯЙСТВЕННЫХЪ ПРИНАДЛЕЖНОСТЕЙ.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ახალი

**ჩ ა ნ გ ი**

წიგნი დიდი ზომისაა (500 გვერდი). დაკაზმულია ძვირფასი ყდით და ღირს მხოლოდ 1 მ. 35 კ. წიგნში მოთავსებულია სცენები, ლექსები, სასიმღეროდ საოხუნჯო კუპლეტები, დრამატიული თხზულებანი და სხ. ჩვენი საუკეთესო ძველ და ახალგაზდა მწერლებისა. წიგნს ჩართული აქვს ქართველ მწერლების და მსახიობების 60 სურათი. წიგნით მოვაჭრეებს %|% დაეთმობათ. ვინც ფოსტით გამოიწერს და 1 მან. 35 კაპ. ფულათ ან მარკას გამოგზავნის მას გასაგზავნი ფული აღარ გადახდება.

**ადრესი:** Тифлисъ. т-во Сорапань. М. Гачечиладзе.

ЯAND PЯIX
1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.
1865 წ. 1896 წ.

დედამიწაზე
საუკეთესო
გალოშები
სამ კუთხედით

1860.
Т.Р.А.Р.М.
С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა
ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ"
ს.-პეტერბურგში
სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.
იყიდება ყველგან


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „სორაპანი" მადათოვ. კუნძული № 1. ტელეფონი № 539.